ხელშეკრულება N 01/45
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 5 თებერვალი, 2016 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ალექსანდრე ნასარიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ავტოტესტ გეორგია“ (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვაჟა იორდანიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის ბალანსზე არსებული 3 (სამი) ერთეული მიკროავტობუსის (ფორდ ტრანზიტი - სახ. N CJC–641, ს/ნ NM0DXXTTFDCA16027, ფორდ ტრანზიტი - სახ. N CJC–642 ს/ნ NM0DXXTTFDCA16716, ფორდ ტრანზიტი - სახ. N CJC–643, ს/ნ NM0DXXTTFDCA17255) გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად) მომსახურების შესყიდვა.

1.2 კლასიფიკატორის კოდი: CPV 71631000

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ლარში.

2.2 ერთეული მიკროავტობუსის ტესტირების ღირებულება შეადგენს 79 (სამოცდაცხრამეტი) ლარს.

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 237 (ორას ოცდაჩვიდმეტი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების ჩათვლით.

3. მომსახურების ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

4.1 მომსახურების გაწევის ვადა: ყოველი კონკრეტული რაოდენობის ავტომანქანებზე შემსყიდველის მოთხოვნიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2016 წლის 10 თებერვლისა, რომლის დროსაც მიმწოდებელი გადასცემს შემსყიდველს თითოეულ მიკროავტობუსზე გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების დამადასტურებელ ფირნიშს.

4.2 მომსახურების გაწევის ადგილია: შპს „ავტოტესტ გეორგიას” ტესტირების ცენტრის ტერიტორია.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი გამოუწერს და გადასცემს შემსყიდველს შესაბამის საფინანსო დოკუმენტაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ ლოგისტიკის და შესყიდვების განყოფილების უფროსი ზურაბ პაპუაშვილი და/ან ამავე განყოფილების ლოგისტიკის მენეჯერი ლევან წეროძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში.

6.2. ანგარიშსწორება მოხდება საკუთარი სახსრებით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- წარუდგინოს მიმწოდებელს მიკროავტობუსები გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების ჩასატარებლად.
- გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- უზრუნველყოს მომსახურების გაწევა დროულად და ხარისხიანად, ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.
- აუნაზღაუროს შემსყიდველს მომსახურების გაწევისას განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანი.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

8.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 პუნქტში მითითებული პირები.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, დაგვიანებით შესრულების ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.3 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების მიხედვით ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, დაგვიანებით შესრულების ან არაჯეროვნად შესრულების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.6 დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა მიმწოდებლის მიერ უნდა მოხდეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

9.7 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს არ აქვს გადახდილი დაკისრებული პირგასამტეხლო სრულად, შემსყიდველი არ მოახდენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშსწორებას.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 12 მარტის ჩათვლით.

11.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

12.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

12.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

13.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.5 ამ მუხლის 13.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების საფუძველზე წამოჭრილი დავები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 ყველა ის საკითხი, რომელიც გათვალისწინებული არ არის ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.6 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“
ს/კ 404923785
მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის 6
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი - TRESGE22
მიმღების ანგარიში - GE24NB0330100200165022

მიმწოდებელი

შპს „ავტოტესტ გეორგია“
ს/კ 204903747
მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.
ს/ს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა N GE95 TB0677636020100001

დირექტორის მოადგილე

---------------------------- /ა. ნასარიძე/

გენერალური დირექტორი

---------------------------- /ვ. თორდინიშვილი/

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 5 თებერვალი, 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ საკუთრებაში არსებული 3 (სამი) ერთეული მიკროავტობუსის (ფორდ ტრანზიტი - სახ. N CJC–641, ს/ნ NM0DXXTTFDCA16027, ფორდ ტრანზიტი - სახ. N CJC–642 ს/ნ NM0DXXTTFDCA16716, ფორდ ტრანზიტი - სახ. N CJC–643, ს/ნ NM0DXXTTFDCA17255) გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად) მომსახურების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დირექტორის მოადგილე

ა. ნასარიძე -

ლოგისტიკის და შესყიდვების განყოფილების უფროსი

ზ. პაპუაშვილი -

ლოგისტიკის და შესყიდვების განყოფილების ლოგისტიკის მენეჯერი

ლ. წეროძე -